

დამტკიცებულია

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო

ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის

გადაწყვეტილებით

ოქმი N 16, 30 აპრილი, 2001 წელი

ცვლილებები შეტანილია ს.ს. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით

ოქმი # 03-02, 12 დეკემბერი, 2005 წელი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მიერ ორგანიზებული ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესები

თავი 1. ძირითადი დებულებები

წინამდებარე წესები არეგულირებს თბსბ-ს მიერ ორგანიზებული ელექტრონული ვაჭრობის გზით ბანკებს შორის უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოების პროცესს; მათ შორის ვალუტის ყიდვის ან გაყიდვისას ანგარიშსწორების პირობებს. თბსბ უზრუნველყოფს სისტემის სათანადო და შეუფერხებელ მუშაობას, აგრეთვე, სისტემაში წარდგენილი განაცხადებისა და რეგისტრირებული გარიგებების სისწორეს.

თავი 2. ვაჭრობის მონაწილენი და ვაჭრობაზე დაშვების პროცედურა

საბირჟო ელექტრონული ვაჭრობის სისტემის მონაწილენი შეიძლება იყვნენ მხოლოდ თბსბ-ის სავალუტო სექციის წევრი ბანკები. ბანკი სექციაში გასაწევრიანებლად

წარადგენს განაცხადს თბსბ-ის გენერალური დირექტორის სახელზე და თანხმობის მიღების შემთხვევაში იხდის გაწვევრიანების დღისათვის არსებულ გადასახადებს.

საფასურის გადახდის შემდეგ ბანკი ხდება სექციის წევრი და მას ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი, რაც საშუალებას აძლევს დადოს გარიგებები ელექტრონული სისტემის საშუალებით. სავაჭრო სისტემის მონაწილემ სისტემაში მუშაობისათვის უნდა უზრუნველყოს მისთვის გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდისა და პაროლის სათანადო შენახვა.

თავი 3. ვაჭრობის საგანი

ვაჭრობის საგანს წარმოადგენს თბსბ-ის დირექტორატის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში.

თავი 4. განაცხადის წარდგენა და გარიგების რეგისტრაციის პროცედურა

4.1 მონაწილეთა დაშვება და შესაბამისად წინასწარი განაცხადების გაკეთება სავაჭრო სისტემაში იწყება დილის 10-სთ 30-წთ-დან.

4.2. წინასწარი განაცხადის გაკეთებისას დილერმა უნდა მიუთითოს ვალუტის რაოდენობა და ოპერაციის შინაარსი, ანუ დააფიქსიროს უცხოური ვალუტის ყიდვისა თუ გაყიდვის სურვილი.

4.3. წინასწარი განაცხადების მიღება წყდება 11 სთ-სა და 15 წთ-ზე.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების გამო აბონენტი ვერ ახერხებს სავაჭრო სისტემაში წინასწარი განაცხადის გაკეთებას, მაშინ იგი ტელეფონით უკავშირდება სავაჭრო სისტემის ოპერატორს საკუთარი წინასწარი განაცხადის სისტემაში შეტანის მიზნით. ანალოგიურად ხდება სავაჭრო სესიის მსვლელობისას ტექნიკური ხარვეზების შემთხვევაში აბონენტის მიერ სავაჭრო სესიაში მონაწილეობა.

4.5. ელექტრონული ვაჭრობა იწყება 11 სთ-სა და 30 წთ-ზე.

4.6. სავაჭრო სესიის მსვლელობისას ვაჭრობის მონაწილეებს შეუძლიათ საკურსო მაკლერს მიაწოდონ დამატებითი განაცხადები. ნებისმიერი განაცხადი, რომელიც მიღებულია ბირჟის ელექტრონული სავაჭრო სისტემის მიერ აუთენტიკაციის პროცედურის დაცვით, ითვლება უფლებამოსილად, იმისდა მიუხედავად, ეთანხმება თუ

არა ამ განაცხადს ვაჭრობის მონაწილე. შესაბამისად, მიღებული განაცხადის შესრულების შემთხვევაში, განაცხადის ავტორს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, წინამდებარე წესების შესაბამისად.

4.7. საბირჟო ვაჭრობის დაწყებისას მოქმედებს წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებული უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი.

4.8. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების უფლება აქვს მხოლოდ საკურსო მაკლერს ვაჭრობის მიმდინარეობის დროს, შემდეგი წესის მიხედვით: იმ შემთხვევაში თუ ვალუტის საერთო მიწოდების თანხა (თავდაპირველი მიწოდება) მეტია ვიდრე ვალუტაზე მოთხოვნის ოდენობა (თავდაპირველი მოთხოვნა), მაკლერი ამცირებს ვალუტის ადრე დასახელებულ კურსს.

იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის საერთო მიწოდების თანხა ნაკლებია ვიდრე ვალუტაზე მოთხოვნის ოდენობა, მაკლერი ზრდის ვალუტის ადრე დასახელებულ კურსს; ამასთან, საკურსო მაკლერის მიერ კურსის ყოველი მორიგი შეცვლა ხორციელდება ეტაპობრივად, 3 წუთიანი ინტერვალით. კურსის ცვლილების მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 0.0001 ლარს.

მაქსიმალური ბიჯის ოდენობა განისაზღვრება საკურსო მაკლერის მიერ და უნდა იყოს მინიმალური ბიჯის ჯერადი. საბირჟო ვაჭრობის პროცესში დადებული გარიგებების რეგისტრაციის კურსი დგინდება ფიქსინგის მეთოდით.

4.8.1. საბირჟო ვაჭრობის მიმდინარეობისას სავაჭრო ვალუტაზე მოთხოვნა – მიწოდების მოცულობების თანაფარდობის გათვალისწინებით ვალუტის კურსის შესაბამისი მიმართულებით ცვლილების პროცესში მოთხოვნა – მიწოდების თანაფარდობის უკუშეცვლის და კურსის უკუსვლის შემთხვევაში, კურსის ცვლილება (მინიმალური ბიჯის სხვაობით) მიმდინარეობს მოთხოვნა – მიწოდების თანაფარდობის შეცვლამდე არსებული კურსის ნიშნულამდე. მოცემულ კურსთა სხვაობის დიაპაზონში მაკლერის მიერ ფიქსირდება ის კურსი, რომელზეც მიიღწევა გარიგების მაქსიმალური მოცულობა.

იმ შემთხვევაში თუ კურსის აღნიშნულ ორ ნიშნულზე მოცულობები ერთმანეთს უტოლდება, მაკლერის მიერ გარიგების კურსად ცხადდება ვაჭრობის ბოლოს დაფიქსირებული კურსი.

4.9. სავაჭრო სესიის მიმდინარეობისას კურსის მორიგი ცვლილება წარმოებს ბოლო გამოცხადებული კურსის გათვალისწინებით ვაჭრობის მონაწილეების მხრიდან უცხოური ვალუტის ყიდვაზე ან გაყიდვაზე წარმოდგენილი განაცხადების მოცულობების შემცირების ან გაზრდის შემდეგ. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ დაცული უნდა იყოს შემდეგი წესი: ვალუტის ყიდვისას ვალუტის კურსის ზრდისას და

გამოცხადებული კურსის მორიგი შეცვლის შემთხვევაში ვაჭრობის მონაწილისაგან მიღებული კორექტირებული განაცხადის თანხობრივი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ ბოლოს წინა, ყიდვაზე განაცხადში დაფიქსირებულ ვალუტის თანხას.

ანალოგიურად, ვალუტის გაყიდვისას ვალუტის კურსის კლებადობისას და გამოცხადებული კურსის მორიგი შეცვლის შემთხვევაში, ვაჭრობის მონაწილესაგან მიღებული კორექტირებული განაცხადის თანხობრივი მოცულობა არ უნდა იყოს მეტი მის მიერ ბოლოს წინა გაყიდვაზე განაცხადში დაფიქსირებული ვალუტის თანხაზე.

გაცვლითი კურსის 5%-იანი ცვლილებისას ბირჟის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეაჩეროს საბირჟო ვაჭრობა. ამ შემთხვევაში არ დაიდება გარიგებები და ძალაში დარჩება წინა დღეს მოქმედი გაცვლითი კურსი.

4.10. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხორციელდება ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობების გათანასწოების მომენტში ე.წ. ფიქსინგის მეთოდით. ყველა რეგისტრირებულ საბირჟო გარიგებაზე ანგარიშსწორება წარმოებს საბირჟო ვაჭრობაზე დაფიქსირებული საბოლოო კურსით;

4.11. სავალუტო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ვალუტის კურსის დადგენის სხვა მეთოდების გამოყენება;

4.12. გარიგების დადების შემდეგ აბონენტს შეუძლია ამობეჭდოს გარიგების რეგისტრაციის ფორმა, რომელიც წარმოადგენს გარიგების დამადასტურებელ დოკუმენტს (მიუხედავად იმისა, რომ არ არის დამოწმებული ბეჭდით). ამასთან, გარიგება ყველა პირობების გათვალისწინებით ინახება სისტემის საინფორმაციო ბაზაში და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ამობეჭდილ იქნას და დამოწმდეს თბსბ-ის ბეჭდითა და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. განაცხადის მინიმალური მოცულობა არ უნდა იყოს 5000 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხაზე ნაკლები.

საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა დამოწმდეს თბსბ-ის გენერალური დირექტორისა, ან გენერალური დირექტორის მოადგილის და საანგარიშსწორებო დეპოზიტარული განყოფილების უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერითა და ბეჭდით. აღნიშნულ დოკუმენტს არ ახლავს გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

4.13. საბირჟო ვაჭრობის ყველა მონაწილე გარიგების რეგისტრაციის შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს საკომისიო გასამრჯელო, რომლის ოდენობასა და გადახდის წესებს ადგენს თბსბ-ს ხელმძღვანელობა. გარიგების მხარეები იხდიან საკომისიო

გასამრჯელოს ლარებში, სავალუტო სახსრების გამყიდველის საკომისიო გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა ლარებში წარმოებს ოფიციალური კურსის მიხედვით;

* ბირჟის გამგეობის მიერ შეიძლება შეცვლილი იყოს მოცემული წესი.

4.14. თბსბ-ს სავალუტო სექციაში რეგისტრირებული გარიგებების შედეგების შესაბამისად თბსბ-ის საანგარიშსწორებო განყოფილება მის მიერ მომზადებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაციისა და კომ. ბანკების მხრიდან საბირჟო გარიგებების შესაბამისად ანგარიშსწორების განხორციელების უფლების თბსბ-ზე დელეგირების საფუძველზე ახორციელებს ანგარიშსწორებას გარიგების მხარეთა შორის, საქ. ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოს მეშვეობით, მონაწილე ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშის გამოყენებით. ამასთან, ანგარიშსწორების განხორციელების ვადა შეადგენს 1 საბანკო დღეს (T+1 სადაც T არის ვაჭრობის დღე) გარიგების დადების დღიდან.

4.15. საბირჟო გარიგების საფუძველზე, კონტრაგენტებს შორის საზღვარგარეთის ბანკების საკორესპოდენტო (ნოსტრო) ანგარიშების მეშვეობით ანგარიშსწორების შემთხვევაში, საბირჟო ვაჭრობის მონაწილეები ვალდებული არიან მოახდინონ ანგარიშსწორება ერთმანეთთან და შეასრულონ საბირჟო გარიგებიდან მიღებული ერთმანეთის მიმართ ღია სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებული ვალდებულებები 1 საბანკო დღის განმავლობაში (T+1 სადაც T არის ვაჭრობის დღე) გარიგების დადების დღიდან.

4.16. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორება ფერხდება უცხოეთის შესაბამის ქვეყანაში არასამუშაო დღის (ან დღეების) გამო, მაშინ ანგარიშსწორება უნდა დასრულდეს უცხოეთის ამავე ქვეყანაში პირველივე საბანკო სამუშაო დღეს. გარიგების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავე მხარის მიმართ გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები წინამდებარე წესების მე-6 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

თავი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. თბსბ თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მხარეთა მიერ ვაჭრობის წესებისა და კონტრაქტის პირობების დაცვას;

5.2. აღნიშნულ წესებთან დაკავშირებით საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებს შორის წამოჭრილი ყველა სადაო საკითხი განიხილება საბირჟო არბიტრაჟის მიერ, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა ბირჟის გამგეობას დასამტკიცებლად;

- 5.3. ვაჭრობის წესების დაცვა აუცილებელია ვაჭრობის ყველა მონაწილისათვის;
- 5.4. ვაჭრობის წესების სისტემატიურად დამრღვევ პირებს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის საბჭოს მიერ ჩამოერთმევათ ბირჟაზე ვაჭრობის უფლება;
- 5.5. ყველა წამოჭრილი სადაო საკითხი, რომელთა მოგვარება მოლაპარაკების გზით არ ხერხდება, უნდა გადაწყდეს აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, საარბიტრაჟო ორგანოებში ან სასამართლოში.

თავი 6. საჯარიმო სანქციები

გარიგების რეგისტრაციის შემდგომ წინამდებარე წესებით გათვალისწინებულ ვადებში მხარეები ვალდებული არიან მიაწოდონ გარიგებით გათვალისწინებული თანხები.

გარიგებაში მონაწილე მხარე წინამდებარე წესებით დადგენილ ვადაში თანხის მიუწოდებლობის შემთხვევაში, პირველ გადაცდენილ დღეს გარიგების თანხასთან ერთად იხდის ჯარიმას გარიგების მოცულობის 0.5 %-ის ოდენობით დაზარალებულის სასარგებლოდ. თუკი თანხა არ იქნა გადახდილი პირველ გადაცდენილ დღესაც, დამზარალებელი დაზარალებულის სასარგებლოდ იხდის ჯარიმას გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით, გარიგება კი უქმდება და მხარეებს უბრუნდებათ გადახდილი საკომისიო თანხა. გარიგების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი პრეტენზია ბირჟის ხელმძღვანელობას უნდა წარედგინოს გარიგების შესრულების საბოლოო ვადის მეორე სამუშაო დღის 12 საათამდე.

მხარეთა შორის საჯარიმო სანქციის დაწესებას და გარიგების გაუქმების შემთხვევაში გადახდილი თანხის გადამხდელი მხარისათვის დაბრუნებას საინკასო დავალების მეშვეობით ახორციელებს ბირჟის ხელმძღვანელობა, რომლის გადაწყვეტილება მხარეთა მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 7. ელექტრონულ სისტემაში გაწვევრიანების, აბონირების

და ამორთვის პროცედურა

გაწვევრიანებისათვის აბონენტმა უნდა წარმოადგინოს თბსბ-ის იურიდიულ დეპარტამენტში განცხადება გაწვევრიანების შესახებ; მოაწეროს ხელი გენერალურ ხელშეკრულებასა ელექტრონულ სისტემაში მომსახურების შესახებ;

სისტემის აბონენტი ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეთანხმება წინამდებარე წესების ყველა პუნქტს და იღებს ვალდებულებას შეასრულოს მის მიერ დადებული გარიგებები წესების შესაბამისად, არშესრულების შემთხვევაში კი აძლევს თბსბ-ს უფლებას მიმართოს თავის სასარგებლოდ (უაქცეპტო წესის თანახმად) ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჯარიმით გათვალისწინებული თანხა.

გაწევრიანებისას სისტემის აბონენტს მიენიჭება გარკვეული კოდი (პაროლი), რომელიც აუცილებელია განაცხადის გაკეთებისა და მოხსნისათვის, ასევე სხვა აბონენტის მიერ გაკეთებული განაცხადის ყიდვისათვის. ეს პაროლი უნდა იცოდეს მხოლოდ ერთმა პასუხისმგებელმა პირმა (დილერმა), მისი არყოფნის შემთხვევაში, კი აბონენტის მიერ შერჩეულმა სხვა უფლებამოსილმა პირმა. დაუშვებელია კოდის გადაცემა აბონენტი ბანკის სხვა თანამშრომლებისათვის.

ს.ს. თბსბ-ის გენერალური

დირექტორი

/დ. კლდიაშვილი/